

135/2 N 403

ქართული
ბიბლიოთეკა

სასაღხე ზაფხუდი



სურათებიანი დამატება

გაზეთის № 208.

შაბათი, 16 იანვარი 1911 წ.

დამატების № 36



„კანეიონის ნავირად“ — სურათი ვინწენბერგისა.

მძულხარი!

არა, აღარ მსურს გიშვირო ტრფობით,
მძულს შენი სახე, გიგონებ გმობით!
წადი, გამშორდი და ის იკმარე,
რაც შეჰსვი, გველო, სისხლი მჩქეფარე!
შენ, რომელსაც კი მე გაღმერთებდი,
და საამებლად გრძნობას ვანთებდი, —
სამარადისოდ იყავ წყევლი,
გესლმა გიკვენსოს სული გრძნეული!
ესრედ თვალთმაქცი შენი ღიმილი,
მალულ სევდაზე ოხვრით ჩაიკლი:
ვითომც გიყვარდე, ჩემთვის ტანჯულხარ...
ვერ დამაჯერებ, გამშორდი, მძულხარ!..

რას წარმოადგენ? — თიხას, არარას!
მომაკვდავს შავი იიწა დაგფარავს!
განა ღირსი ხარ, ჩანგსა გიჟღერდე,
ჩემს უკვდავ ლექსებს ლოცვად გიმღერდე?
ვერც შეგიყვარებ, არც მყვარებიხარ,
ერთხელ ნაცნობსა — ველარ გცნობ, ვინ ხარ!
ავო, ავგულო, წყევლითაც კრულხარ!
არ მომეკარო, გამშორდი, მძულხარ!

... და დავივიწყებ იმ მოგონებას,
თუ კი ოდესმე დავყე შენს ნებას.
რად ვათენებდი, ახ, თეთრად ლამეს?
სჩანს, ცოდვილ ვიყავ — მალლით მაწამეს,
და იგი ცოდვა მოვიხინე,
სამსალა შენის ხელით დავლიე.
და დღეს გგონია, — კვლავ შენთვის ვწუხვარ?
ნეტა იცოდე, თუ რა რიგ მძულხარ!

თუ რამ მოგიძღვნე ჩემად სახსოვრად,
მას გულით ვნანობ, გადმექცა გლოვად.
შენს ლამაზს სურათს მოვსპობ, მტვრად ვაქცევ,
ხსოვნისა ტაძარს მოვსრავ, დავაქცევ,
ვარდს გადავაგდებ დამკნარსა, მწუხარს.
ცეცხლში შევაგდებ ტრფილის უსტარს,
აღარ დაგინდობ, თუ კვლავ მოჰსულხარ.
გველო შავთვალავ, გამშორდი, მძულხარ!

ვინა სთქვა, გქონდეს ხმა ტკბილ ნარნარი, —
მაშ დაგვატკობდა ქაჯის ხარხარი.
შენი კოცნაა შავი სიკვდილი,
მუდამ საზარი და ფერ-მიხდილი.
როს უწინ გრძნობით გილოერსებდი,
შენ, ვით ასპიტი, დაჰსრიალებდი.
სულის მიხუთავდი, გულმკერდს მგლეჯავდი,
სამარის კარად ვნებით მიგყავდი.
დღეს ველარ მომწვდე! ვერც ნეშტრის ისარს
გააგმირვინებ ნორჩ გულის ფიცარს,
მომაკვდავთ საზღვარს მე გარდავსულვარ.
ნეტა იცოდე, თუ რა რიგ მძულხარ!

ველარ მომხიბლონ შავმა თვალეგმა,
ვერც ბაგე-ვარდთა ფერად ლალებმა.
ვერც შეგიყვარო შენ — მიწიერი,
არსი მიწიწვევს მე ზეციერი,
ოცნებით შეგქმენ, სულსა ჰფლოობს მარად,
გრძნობის სამთავროს ვბრწყინავთ მზის დარად.
იგი ჩემშია, მე მისთვის ვწუხვარ...
შენ კი — გამშორდი! გამშორდი, მძულხარ!..

ა. შანშიაშვილი.



მრი მცნება

ოდეს გარემოს ეფინება ბინდი ღამისა,
მთა ბუმბერაზი ჰჰლის გრძნეულად ჩრდილთა დალალებს,
სევდის პირ-ბადით იმოსება ლაყვარდი ცისა,
ბოროტი სული ცოდვილ მიწას თავს დასტრიალებს,
ოდეს ყოველ მხრივ მეუფეობს ცივი ღუმილი,
აღარ შრილოებს ქავლიანი ნაპირი ტბისა,
საამო ძილსა მისცემია ბალახ-ყვავილი,
შორის ტაძრიდან შემომესმის ლოცვა მწუხრისა,
მაშინ ზეცისკენ ფიქრით მივდევ იღუმალ გრძნობას,
უცხო წილში დამაქროლებს ოცნების ფრთები,
საიდუმლოთა ასახსნელად ვალვიძებ ცნობას,
იქ ჩემს დემონსა, სულის დემონს, ვესაუბრები.
ჟამსა მწუხრისას, მისკენ ვავლენ მხურვალე ლოცვებს,
მორწმუნეთ ეუხმობ... ნელად კვნესის ობოლი ჩანგი,
დემონი მითხზავს, სულის აღმგზნებ, უცხო სიმღერებს:
ჩემსკენ ისწრაფეთ, სანეტარო ისმინეთ ჰანგი!..

II

ღილის კისკასზე, როს იეღვებს სხივი პირველი,
პიტალო თხემი იღუმალად ლაყვარდს შესცინებს,
მზის ნათელ ზღავში აცურდება ირგვლივ ყოველი,
ნიაფი ბუჩქებს ჩაეხვევა, ჩაუქვითინებს,
ოდეს გაკრთება სასიცოცხლო ზე-აღმაფრენა,
ძლიერის ვნებით გაიღვიძებს მშრომელთა კერა,
იფეთქებს ცეცხლი... 'მეშფოთდება თვით ზესთა-ზენა,
გულს წარიტაცებს სევდიანი მაშვრალთ სიმღერა;
მაშინ ფროსა ჰჰლის, არწივდება სწრაფვა სულისა,
ცხოვრების ზღუდეთ გეხეაქები შეუპოვარი,
ველარ მაკავებს სისასტიკე თვით უფსკრულისა, —
მინდა გავსცილდე, გადავლახო ბედის საზღვარი!
და მივქრი კიდევ... მზის პინათლეს სიმაღ ვებმები,
შორს გადაფრენილს, სურვილთა გედს მისტირის ჩანგი,
გრძნების სიმღერად სულს ექსოვა ბუნების ხმები:
ჩემსკენ ისწრაფეთ, საედემო ისმინეთ ჰანგი!..

ბ. ჩხიკვაძე.



ღაღაღიანი

I

აი დავმშვიდდი! — აღმომხდა ლოცვა
და მწუხრი ჩემი ცრემლმა წარხოკა...
ვიხილე, ღმერთო, ცეცხლთა-მტრქვევი თვალეგი შენი
და აღველინე, მოიბურე ღრუბელთ რიდენი.
ცრემლთ ნიაღვარს, ნეტავ, ჩემი
სამლოცველო წარეტაცნა, —
ანგელოზმა სახე შენი
გულს გვირგვინად რად დამაწნა?
რომ შენ ღმერთი ჰყოფილიყავ,
მე — ქურუმი — ასე მსურდა;
რომ შენს ტრაპეზს ცეცხლი ჩემი
დამწვარიყო... და აღსრულდა.

II

უხილავ იქმენ! უხილავ იქმენ! —
მე მსურს ერთ-ერთი კვლავ ვეძიოთ ჩვენ.
ზეგარდმო ღმერთი,
შენა ხარ ერთი...
ნაყოფიერ მყავ: — შთამბერე ძალი,
რომ აღვადგინო კვალად ტაძარი,
შველაღადო ცას,
მივმართო ლოცვას!

ბაბილინა.

გულის პასუხი

თვალის ჩინო, შენ მოგიძღვენ
ყოვლისათვის ყოველივე,
ორთქლად ვიქეც, მოგებურე,
სურნელებად მოლივლივე.

ჩემს სალოცველ კერპად გიკან,
გავაღმერთე, დაგემონე,
შენი ტრფობა წმიდა-წმიდად
გვებუღოს გულსა შევუწონე

ვცოცხლობ, ვიშვებ შენზედ ფიქრით,
თაყვანსა ვსცემ შენს ცრემლებსა;
ოცნებაში გიწნავ გვირგვინს
და შიგ ვაწნავ ყვაფილობსა.

ჩემი სევდის საიდუმლო,
შენს ქვითინში, დედავ, ვპოვე;
და ეს რწმენის სამლოცველო
გრძნობის ძაფეს ჩავაქსოვე.

თაიგულად გადავფურჩქნე
ტრფობის ყლორტა, ცრემლში ზრდილი;
და ამ წმიდა ამბორს გიკმევს
ეხლა ჩემი მოძახილი.

და არც დაგთმობს... განთიილზე
ძარად გიმღერს, სევდის ხმაზე;
ვიდრე მბრწყინავ ძლევის გვირგვინს
არ დაგადგავს ტანჯულ თავზე.

კიკნა—ფშაველი.



წმინდა ხარ, წმინდა!

წმინდა ხარ როგორც თოვლის ფიფქი—მთისა კალთებზე,
ფიფქი, რომელიც სიოს რხევით გაიტყორცნება;
წმინდა ხარ, წმინდა, ვით ამურის კოცნა-ალერსი,
წმინდა ხარ, როგორც მგოსნის ცრემლი, მგოსნის ოცნება.

* *

ვიდრე არ შეგხვდი, არ ვიცოდი,—რა იყო ტრფობა,
ან—აღამიანს რად სახადენენ ქვეყნის გვირგვინად?—
ეს იყო მაშინ... მაგრამ დღეს კი, ახლად გარდვიქმენ...
დღეს ის აღარ ვარ, ჩემო კარგო, რაც ვიყავ წინად.


* *

ვარსკვლავთა ენას შევისწავლო, შენს შესამკობად,
ღიმილს მოვპარავ თვით მთოვარეს ნახად გაბადრულს,
ღილის კისკასზე ამრეშუმის თეთრ ნისლს მოგახვევ,
აგანთებ კოცნით, სიყვარულო, გიძღენი სიყვარულს!

* *

მსურს,—შენი გრძნობა თაიგულად შევკრა, შევკონო,
მსურს, შენის კოცნით აღვსდგე მკვდრეთით, ავშაღლდე ცამდე;
წმინდა ხარ, წმინდა, ივერიის ტურფა ასულა!
იყავ კურთხეულ უკუნითი—უკუნისამდე.

ი. გრიშაშვილი.



გ ა მ ბ ნ ა რ მ მ ი,
რომელმაც ძმასთან ერთად კავკასიის უმძლეს სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად 1 მილიონი მანეთი შესწირა.

მართი ღმერთი

ვიწი სიხარული! ვიშ აღტაცება!
ცამ გადიყარა შავი ღრუბელი;
მზემ გაღმობხედა წარმართთ ქვეყანას,
შემოახია სუღარა ბნელი.

დღეს მხოლოდ ერთი ღმერთი ვიწამე,
თვით გავხდი მისი სასუფეველი...
თამი თამს შესცვლის, ცხოვრება გზასა,
მე კი დავრჩები შეურყეველი!

ი. მჭედლიშვილი.

ს ი მ ლ ე რ ა

თვალი მოგაკარ ცის სივრცეში
კომციმბდი როგორც მთვარე,
ძლევის ნიშნად თავს გიმკობდა
სხივთ გვირგვინი მოელვარე.
ცა ხვამი დს ყვაფილთ გულზე
მარგალიტის ცვრებით სწერდა;
მთის ჩანჩქერი გაძნობით სავსე
მელოდიას შენ გიმღერდა;
ზღვა მღელვარე თვის გულ-მკერდზე
იხატავდა შენს ნახ სახეს
და მგოსანიც აღტაცებით
შენთვის სწნავდა ჰანგთა მახეს.
მაგრამ მყიავე ღრუბელთ ზღვაში
ღამიარხე ნატურის თვალად,
რომ ოდესმე მომავალში
სხივი გეძღენა ჩემთვის კვალად.
... და დაგეძებ... ვერსად გპოვე...
გარდავლახე ცის საზღვარი,
ჩანთქმას მიქადი ჩემს თვალთაგან
დანადენი ცრემლის ღვარი.
ჩაიფერულა გრძნობის ცეცხლი,
სულის სწრაფვა, გულის ვნება
და შენს მგოსანს, ობლად შთენილს,
დამრჩა მხოლოდ მოგონება!..

ა. სვანელი.

ღ ი ლ ა ა!

(ჩემს მეგობრებს: ელენეს და შალვას)
(დღიურიდან)

დილაა! დღიხნით ნანატრი ცხრა-თვალა აღმოსავლეთით ამოგორებულა. მისი ოქროს ფერი სხივები სატრფიალოდ გადმოსილა და წარსულ ავდრობისას თოვლით შეფიჭულ და ყინვით დაზრულ ნორჩ ყლორტებს დაშუქებია. ფანჯარასთან ახლოს, მაგიდას უზივარ და ბაღს გადავყურებ. ვხედავ თუ როგორ სცვივა ყინვის ბორკილები, სხივების მაცოცხლებელ სითბოს გავლენით, ვარდის ნორჩ ყლორტებს.

დასუსხულები! ცრემლებში იწურებიან, მაგრამ ცრემლებით ზამთრის სუსხისგან განიბანვიან!

დასუსხულები!

წინედ რომ დაღუზული იყვნენ, წელში თამამად იმართებიან, ფრთებსა ჰშლიან! ვკითხულობ დიდ სიხარულს ყლორტის პირისახეზე. საბუთიც აქვთ: გადარჩენილან ზამთარს და მხოლოდ გაზაფხულს შესტრფიან! მზის სხივების მაცოცხლებელი აღერსი მომავალში; გახურებული მუშაობა, დაუცხრომელი ამოზიდვა საზრდო წენისა დედა-მიწის გულიდან; გააღმასებული ფაცური საკვებ ელემენტების გამოსაქერად ჰაერის უსაზღვროობიდან და შემდეგ, საკუთარ სიცოცხლის კერაში, ამ ნედლი მასალების გადახარწვა-გაცხოველება და მათი შემწეობით საკუთარი სხეულის გაზრდა, გავაყვაცება; ყვავილად გადაშლა; ყვავილის სახით ქვეყნად გამოცხადება მათი სიცოცხლის მალულ კერაში ნაწარმოებ უკვდავ მუშაობისა; კეთილ სუნნელებად მთელ მსოფლიოს მოდება; საკუთარ სიცოცხლის განმტკიცებით სხვათა ცოცხალთა გასხივ-ხარება! მორცხვად უღიმონ ამ აზრს ვარდის ხის ნორჩი ყლორტები. სწამთ რომ ეს ასე იქნება. იციან რომ ეს ბუნების გარდღვალა წესია!

ერთი სამღურავი: მე რომ ბაღშია ფანჯარა არ შემეღო, ნუ თუ, ვარდის ხის ყლორტებო, თქვენი ზენაარი სიმხიარულე ჩენთვის უცნობი უნდა დარჩენილიყო?! ია.


ქ. ტულუზა.



პანლაკიბა მწუხარებისა

(ნოველა)

მას უნდოდა სატრფოს გასაუკვდავებლად შეექმნა რამე. ჰსურდა სატრფოს სახე, რომელსაც სიკვდილმა მოუსო ფრთები და, რომლის საფლავსაც ეხლა ნაღველი ეითხვევა,



ქართლის საქმეს კუ მიათრევს, წინ ეშმაკი ეხიბრება;
მას, მახეში მომწყვდეულსა, სხვა უთავოც ემატება;
ახლად—შობილ რედაქტორსა მხოლოდ კუდი ხელში ჰრჩება;
ჰფიქრობს, თუ წვერს მოვაგლეჯო, საქართველოც განათლდება!“

სამუდამოდ უკვდავ ეყო, მაგრამ, ოდესღაც ბუნების მესაი-ღუმლეს, ეხლა არავინ არაფერს ეტყოდა, თითქო ღუმილი-სას ინახავს ალტკმასო. სღუმლა სევდიანი გაცრეცილი ცა, მლოცველ ქურუმებივით აყუდებულაყვენ მთები და სდარა-ჯობდენ კვლავ უცვლელი მარადისობას, მუდამ გულჩახვეუ-ლი მოსთქვამდა მდინარე და ღამის ყრუ იღუმალეში შეს-ჩიოდა ზეცას ობლობას და უთვისტომობას, თანაც თითქო უნდა გამოიტიროს ურვა ქვეყნიურ წარსებობისო, ტალღას ტალღას სცემდა და ნაღველიან ხმაზედ ქვითინებდა.

მას კი სატრფოს გასაუკვდავებლად ჰსურდა შეექმნა რამე.
— არა რას მეტყვის ნაღველიანი ცა!
— არა რას მეტყვის ტიტველი მთა, ცად აგრაგნილი!
— ყუჩობს ბუნებაც!

ფიქრობდა მოქანდაკე და გულში უფრო ზვიადდებოდა აზრი, რათა სატრფოს გასაუკვდავებლად შეექმნა რამე. ვით. თოვლის ზეფი, ჰიტალო თხემით დაქანებული წაღვეკავს, ყველაფერს, ისე ცეცხლივით სწვავდა მგზნებარე ალი შე-მოქმედებისა მხატვრის გულს.

და წავიდა იგი სასაფლაოზე, დაამსხვრია სატრფოს საფ-ლაფზე მდგარი ქანდაკება მლოცავ ქურუბიმისა, ჩაადო ბრძმედში და გადაადნო. გული თრთოლვით უცემდა, სევდა გულის წილნი ჩაგუბებული გადმონთხევას ჰლამდა და ჩა-მოსახა მოქანდაკემ ქანდაკება სამარადისო სევდისა, ქანდაკე-ბა კაეშანისა, შთაჰბერა სული უსაზღვრო, უძირო სიყვარუ-ლისა და მლოცავ ქურუბიმის მაგიერ, სატრფოს საფლაფზე დასდგა ქანდაკება უკუნითი მწუხარებისა, აიღო მთოლვარე ხელში კალამი და გულის ფანცქალით წაწერა სიტყვები სოლომონ მეფისა:

„დამდევს მე ვითარცა ბეჭედი გულისა ზედა შენსა, ვითარცა ბეჭედი მკვლავსა შენსა ზედა, რამეთუ ძლიერ არს, ვით სიკვდილი, სიყვარული, ფიქველ ვითარცა ჯოჯოხეთის შური. არ ქალუძს წყალსა მრავალსა დაშრეტად იგი და მდინარე ვერ წარღვნის მას.“

და მით უკვდავ ჰყო ის, ვისი უკვდავებაც ენატრებოდა. დილის ცისკარი იყო მოწამე, თუ ვით შთაჰბერა სული მოქანდაკემ ქანდაკება და მწუხრის ბინდი გაკვირვებულნი მიჰშტერებოდა მას.

გარიერაგისას მზე დასცქერის მას ალტაცებით, და მწუხ-რისან—მთვარე მუდამ მქვეუნვარე, თითქო ერთი ბელოთნი შეიყარენო, მკრთალს სხივებში ჰხვევს.

სანახაობით გაკვირვებული მგზავრი თვალს ვერ აშო-რებს საყვარელ ქანდაკეს წმიდა სიმბოლოს მწუხარებისას, ნაშთს ტრფობისას...

ბ. ტაბიძე.